შეფასება ...../ 30 ქულა სახელი, გვარი .....

XI კლასი

დავალება 1

1(10) **ყურადღებით წაიკითხეთ გიორგი ლეონიძის ლექსი „ვეფხისტყაოსანს“:**

ხელში აგიღებ... გაკოცებ,
კიდევ ჩაგკოცნი... ჩაგცქერი;
წიგნი კი არა, — ჟრჟოლა ხარ,
ჩამოქაფული ჩანჩქერის.
    წიგნი კი არა, — ბაღი ხარ,
    ოქროს ცვარჩამოწვეთილი;
    გაშლილი ბაირაღი ხარ,
    ლექსის ფრთა გაუცვეთელი!
წიგნი კი არა, — დილა ხარ
ქართველი ხალხის ნათელი.
გულის ფესვებში გინახავ,
გულში ხარ გამონათალი.
    უთენებელი ბნელეთის
    შენ ერთი გვყავდი მთეველი;
    სიმდიდრე ბევრი წაგვართვეს,
    შენ დაგვრჩი წაურთმეველი!
გწვავდნენ და არ იწვებოდი,
ცეცხლში დიდების მხვეჭელი.
ვერც ქარიშხალი გფანტავდა,
ხეების ამომგლეჯელი.
    შენ ხმალის ღარზედ ეწერე,
    ანდერძი ოქროხმოვანი:
    ”სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
    სიკვდილი სახელოვანი!”
წიგნო, წინ მიუძღვებოდი
ხალხს უკვდავების ნაღარით;
შენ გწერდა დიდი რუსთველი,
თავს ოქროგადანაყარი.
    შენ გწერდა ცისკრის კამკამი,
    ხევთა ხმა ზვავის ზრიალი;
    შენს კალამს ორბი ჰზიდავდა,
    ტყავს — ვეფხი თანაზიარი.
შენ ჩვენი სიჭაბუკე ხარ.
გული არ დაგიძველდება,
სიმღერა, დილას ნამღერი,
შვიდასი წელი გრძელდება!
    აახმაურე სამშობლო
    კარისკარ ჩამოიარე;
    ზოგს პურმარილზე შეესწარ
    და ზოგს უხვევდი იარებს.
სიყვარულს სიყვარულითა,
ძმობით ძმას ეპასუხები,
დიდ ჭირში დაგვაფოლადებ,
დავდგებით, როგორც მუხები.
    შენი სიბრძნე და ოცნება
    გულში აქვთ გამოკვანძილი;
    ჩამოურიგდი ქვეყანას,
    როგორც დიდი მზის ნაწილი.
კარებს გიღებენ ტკბილ სტუმარს
ქალაქები და სოფელი,
სიმღერა გულში ნათქვამი,
გახდი მსოფლიოს მფლობელი.
    გაქანდი, ოქროსფრთიანო,
    გასცდები ქვეყნის ნაპირსა,—
    შენ, დედაჩემის მზითევო,
    ფარ-ხმალო მამა-პაპისა!

გააანალიზეთ ტექსტი მოცემული მითითებების დახმარებით:

1. (3 ქულა) იმსჯელეთ, როგორ აფასებს ლექსის ავტორი „ვეფხისტყაოსანს“, საამისოდ დააკვირდით, რას ნიშნავს გ. ლეონიძისთვის ეს წიგნი (ამ საკითხის გადმოსაცემად დაწერეთ მინიმუმ 50 სიტყვა);

2. (4 ქულა) იმსჯელეთ, პოეტის აზრით, რა როლს ასრულებს „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოსა და ქართული კულტურისთვის. რამდენად ეთანხმებით ავტორს? დღესაც ასეა, როგორც წარსულში? (ამ საკითხის გადმოსაცემად დაწერეთ მინიმუმ 60 სიტყვა);

3. (3 ქულა) იმსჯელეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული ხერხებითაა რეალიზებული (ამ საკითხის გადმოსაცემად დაწერეთ მინიმუმ 40 სიტყვა)

გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ნაშრომი არ უნდა იყოს 150 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება 2.

გრამატიკა (10 ქულა)

(5 ქ.) შემოხაზეთ მართებული ფორმები:

1. ჩემს ძმას თმა სასაცილოდ .....
   ა) გაუკრეჭავს ბ) გაუკრეჭია გ) გაუკრიჭავს

2. ილია და აკაკი ..... ექცევიან ქართველებს.
   ა) მეგობარსავით ბ) მეგობარისავით გ) მეგობრისავით

3. ვაჟამ და ბაჩანამ ..... ნაწარმოებებით მთა გააცოცხლეს;
   ა) მათი ბ) თავიანთი გ) თავისი

4. რეალურად მეკუთვნის ამ მიწის ფართის ..... მეასედი
   ა) ორ-ნახევარი ბ) ორი-მეშვიდედი გ) სამნახევარი

5. ჩემმა მასწავლებელმა და მე ეს ფაქტი ბევრჯერ
   ა) ავღწერეთ ბ) აღგიწერეთ გ) აგიღწერეთ

(3) **წაიკითხეთ მოცემული წინადადება და იპოვეთ სტილისტური და სინტაქსური ხარვეზები.**

ჩვენ ქუჩებში ადგილი აქვს მოძრაობის წესების მრავალ დარღვევებს.

(1 ქ.) ჩაანაცვლეთ სინონიმით ხაზგასმული ფრაზეოლოგიზმი, ან ახსენით:

ა. <u>კუმ ფეხი გამოყო</u>;

.....

(1 ქ.) აირჩიეთ პარონიმებდან სწორი ფორმა:

ა) ნოსტალგია ბ) ბავშვობის ნოსტალგია გ) სამშობლოს ნოსტალგია

დავალება 3

(10) არგუმენტირებული ესე

ადამიანი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოეკიდოს დაკისრებული მოვალეობას

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას, ან უარყავით.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ნაშრომი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.